ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48. 482324412**

თარიღი:**01/09/2023**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების

საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის №283 ბრძანების 4-ე დანართის 4-ე პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა.

2. დაევალოს საფინანსო საბიუჯეტო სამსახურს მუნიციპალიტეტის 2024 -2027 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროგრამების/ ქვეპროგრამების/ ღონისძიებები მათი მიზნები, აღწერა, საშუალოვადიანი და საბოლოო შედეგები, შეფასების ინდიკატორები გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას.

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გრიგოლი ყურაშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი